 ტრფობა, კეთილის ცალკე გაგება.
 ამ მშვენიერის სანახავითა
 დიდხანს ატკობდა თვისს ოცნებასა;
 ფიქრს ფიქრი მოსდევს განუწყვეტელად,
 იგონებს წარსულს ნეტარებასა.
 მისი ფიქრები მისსავე თვალში
 ჰგავდნენ ურიცხვსა ვარსკვლავთ კრებასა;
 მაგრამ ახალი ღარდი გაუჩნდა, —
 იგი არ მისცემს იმას შეებასა.
 მძინარე გრძნობამ გამოიღვიძა,
 ესაუბრება ძველის კილოთი:
 გადასხვავეების ნუ თუა ლანდი?..

გონებას სტანჯავს მწარე ფიქრითა.
 მაცდურებისა სიტყვებს ეძებდა
 თვის გონებაში, მაგრამ ვერ ჰპოვა.
 მაშ დავიწყოს? ღმერთს არა ჰნებავს.
 არც თვით ისურვებს, — უჩინების ხსოვა.

X

მოღლილს ტაიქზე თამარის საქმრო
 თვის დანიშნულთან ეშურებოდა.
 ეს დღეც გათავდა. შავი ნაბადი
 მიწას ღამისა ეხურებოდა.
 მშვიდობიანად მან მოაღწია
 არაგვის კიდეს ამწვანებულსა.
 წინ მოუძლოდა აქლემთ ქარაევანს,
 მრავლის საჩუქრით აკიდებულსა...
 მთები ეფხიზლა ზრიალ-წყრიალით
 ზარებს მათს ყელზე დაკიდებულსა.
 თვით მფლობელია სანოვაგისა,
 მას ეკუთნოდა ეს ქარაევანი.
 სულ ოქრო-ვერცხლით ჰქონდა მორთული
 თოფი, ხმალი და გრძელი ხანჯალი, —
 მხარ-ილიც თოფი გადაგდებული,
 წელში დამბახა — მთელი აბჯარი.
 ყურთუმაჯებსა ქარი ურბევდა, —
 ზოხა-ბუზმენტით ეცვა მორთული,
 და უნაგირიც ოქრო-მკედითა,
 ძვირფასის თვლებით ჰქონდა მორწყული
 მის ქურანს ცხენსა... ოფლიც სდიოდა,
 იცქვეტდა ყურებს, თანაც ჰკრთებოდა
 და კლდილამ კლდეზე, პირს ქაფ-მომდგარი,
 უბოარკილოდა, მარდად ხტებოდა.
 საშიში არის ეს ვიწრო გზები, —
 მარჯვენა მხრილამ მდინარის ყეფა.
 დაბინდდა. აგერ თოვლიანს მთაზე



დასავლეთისვე მკედართ მზეცა ქრება.
 დაიძრა ნისლი, მიათრევს ფრთასა,
 და ქარავანიც შაუღდა გზასა.

XI

იქვე გზის პირას ნიშია ერთი
 და იქ თავადი ვინმე ჰმარბია, —
 მოსისხლე მტრისგან მოკლული იგი,
 მოწმად ცნობილი არის ხალხშია.
 ვინც კი ვაივლის მის ახლო მგზავრი,
 თუნდა ძალიან ეშურებოდეს —
 ხატობას ანუ გინა ლაშქარსა,
 ეს ნიში მუდამ უნდა ახსოვდეს:
 აქ შესწირავდეს მდულარე ლოცვას,
 მკედარსაც ეტყოდეს იგი შენდობას;
 ეს დაიხსნიდა მტრის ხელიდამა
 ამის ხანჯლის და იმის ხმლიდამა.
 არ ასრულა სანეფომ წესი
 ეს ძველი-ძველი მამა-პაპისა,
 გრძნობის მმართველიად მას დასდგომია
 ხმა და რჩევანი ბილწის ქაჯისა.
 ჰაერში ჰკოცნის ფიქრით თამარსა,
 ელანდებოდა სახე ქაღისა.
 ორი რამ განადა მგზავრის წინ გზაში
 და მალე გროვაც მთელის ხალხისა;
 იქეჭა თოფმა... მაგრამ მამაცსა
 არ შეეშინდა მტრის თაფ-დასხმისა.
 ფაფარს დასწია, ცხენი გაქუსლა,
 არ უთქვამს სიტყვა, არ დაძრა კრინტი.
 ხელში მოიგდო სწრაფად ხირიმი
 და მიერია ტყეიასებრ ცქვიტი.
 გახშირდა სროლა... გაისმის კენესა.
 გმინავენ, ოხვრენ დაკოდილები.
 და ამავე ხმას იმეორებენ

კლდე-ღეღეები, მალალი მთები.
მალე გათავდა ბრძოლა და ომი
შემოეფანტნენ თავადს მზღებლები.

XII

დადუმდა ეს ხმაჲ. გათავდა ბრძოლა.
მისწყდა კიენა, თოფების სროლა.
გაოცებულნი, ზარების ეღერით
მკედართა სთელაედა აქლემთა ხროვა.
გაძარცულია მთლად ქარავეანი
და ქრისტიანი მკედარი წევს მკედარზე,
მათ არ ეღირსათ სამარეს წოლა
მამა-პაპათა საფლავთა გვერდზე.
უმაღურადა უმაღურის ხმით
ბუ დაჟვარუაშებს ძახილით თავზე.
არ დაიტვირებს არც და, არც დედა
დახოცილებსა გლოვა-ზარითა,
არ მოკვივიან შორის გზიდამა
შემოსილები გრძელის ზადრითა.
ნაცვლად, კლდის ძირას, მკედართა სახსოვრად,
აღიმართება მფარველი ჯვარი,
უსურვაზითა შეიმოსება,
როგორც ზურმუხტით, იმისი ტანი;
და არა-ერთხელ ნავალ-ნატანჯი
სულს მოიბრუნებს მის ჩრდილში მგზავრი.

XIII

მიფრინავს ცხენი გამაღებელი, —
დიდი საქმე აქვს დავაღებელი;
გადახტომილი წამს შეჩერდება
და ქარის ზუზუნს მიუპყრობს ყურსა.
მაგრამ ამითი რაღას უშველის
თავის პატრონას მომაცვდავს წყლულსა.
ნაღებს აელვებს, პირით ქაფსა ჰყრის,
ფრუტუნებს, სწყრება, ნესტოებს ჰპერავს;



გზას აღარ ირჩევს, და მის კისერზე
 შავი ფაფარი ზღვისაებრ ჰღებლავს.
 ცხენის პატრონი არ იღებს ხმასა,
 უნაფირზედაც ვერ იჭერს ტანსა.
 მიშვებული აქვს ცხენის სადავე,
 ცხენის ფაფარზე აწვევტავს თავსა.
 შეუღებია სისხლსა საგულე,
 როგორაც კლდიდამ ნადენსა წყალსა.
 არ უღალატე, ცხენო, პატრონსა,
 ბრძოლიდამ გამსხლტი როგორც ისარი;
 მაგრამ დაუნდო ოსის ტყვიამა
 გაუპო მხედარს გულის ფიცარი.

XIV

გუდალის სახლში ქეთინი ისმის,
 ხალხი გროვდება ეზოში ჯარად.
 ეს ვისი ცხენი მოვარდა ქმენით,
 ოფლი ჩამოსდის მთელს ტანზე ღვარად?
 და წამოიქცა თავის მხედრითურთ
 შავს ლოდებზედა ზედ ეზოს კარად,
 ტანისამოსი და იარაღი
 ერთიანად აქვს სისხლში მოსერილი,
 ფაფარზე ხელი ჩაუჭიდა,
 ზედ დამყრდნობია წელში მოხრილი.
 სისძლოც, ელოდი თვალ-დამშვეული
 ამ საღამოთი საქმროს ნახვასა, —
 აკი მოვიდა და არ უმტყუნა
 კეთილშობილურს იმან აღთქმასა!
 მაგრამ, ვაი, რომ წელ-ული სკირს მკერდზე
 და ვერ შეჯდება კვლავ თავისს ცხენზე!

XV

უდარდელს ოჯახს მოულოდნელად
 დღეს მოველინა სასჯელი ღვთისა.
 წაიქცა პირქვე თავის ლოვინზე

თამარი, მოსთქვამს, მწარედ სტირისა;
და ცხელი სრემლი ეწევა სრემლისა,
ღვარად ჩამოსდის მის ლამაზს პირსა.
მძიმედა მსუნთქავს, თან გულიც მისდის;

ხმა მომზიბლავი მის ყურთან იმის:
«ტყუილიად სტირი, ქალიო ლამაზო,
ამაოდ აფრქვევ ცხარე სრემლებსა-
ტირილით მკედარი არ გასოცხლდება, —

რისათვის სტანჯავ, ნეტავი, თავსა?
ტირილით თვალებს ნუ გაიწყალებ

და ნუ დაიწეავ ტურფა ლაწვებსა.
იგი შორსაა, იმის არ ესმის,

ვერც დააფასებს შენს სრემლს, კენესასა.
ციური სხივი ვალერსება

მის უსხეულო თვალთა-ხედვისა.

სამოთხის ხმები იმას ატკობენ

და ამა ჭვეწის ამაოება:

საწყალის ქალის კენესა-გოდება

ან კი მას რაში ეპრიანება?!
არა, არც ერთი ღეთისა კმნილება,

ჩემო სიკოცხლეც, მერწმუნე ამაღ,

ვინც უნდა იყოს, ძვირადა ღირდეს,

არა ღირს ძვირფას შენს ნაღვლის ფასად.

«ცისა სივრცეზე უნაე-უაფროდ

დასტურავს წყნარად ვარსკვლავთა გუნდი.

შავთ ღრუბელთ გროვა თავზედ აწვებათ,

როგორც პატიმარს ფეხებზე ხუნდი.

წამი ნახვისა, წამი გაყრისა,

არც გააბარებს და არც აწუხებს.

მომავლისათვის არა ზრუნავენ,

წარსული იმათ გულს არ აღუღებს.

უბედურს დროსა წარმოადგენდე

ვარსკვლავთ და ღრუბელთ მხოლოდ გროვისა;



იმათებრ იყავ შენც უდარდელი,
 ნუ მიეცემი ვიშს და გლოვასა.
 რა წამსაც ღამე შავსა ნაბადსა
 გადააფარებს კავკასის ქედსა
 და მოხიბლული გრძნეულის სიტყვით
 არ ემდუროდეს ქვეყანა ბედსა;
 რა წამსკი ქარი კლდის თავზედ დამქნარს
 ბალახს დაჰპერავს, დაუწყებს რბევას
 და ვარდის ბუჩქზე მიძინებული
 ნაზი ბულბული დაიწყებს მღერას,—
 ვაზისა ძირში ნამით ნაკვები;
 ღამით ყვავილი როს გაიშლება
 და მთვარეც ბადრი მთის გადაღმიდამ
 სხივ-ფრქვევით, ღინჯად ამოცურდება,
 ქურდულად თვალსა შენ გადმოგავლებს;—
 ამ დროს გეწვევი შენაც სტუმრადა
 და ტყბილს სიზმრებსა ხშირს წამწამ-წარბზე
 მოგავლენ ფრქვევით მაშინ, ზუმაღა“.

XVI

მისწყდა სიტყვები. და შორს ჰაერში,
 ვით ზარის რეკა, ხმა ისე გაქრა.
 ქალი წამოხტა, შეშლილად ქმნილი,
 თითქოს ვიღამაც მას თავში დაჰქრა.
 ელდა ნაცემი, გარემო თვისსა
 შეშინებული ავლებდა თვალსა.
 ყველა მის გრძნობა—სული და გული
 მგზნებარე ცეცხლის შეებყრო აღსა.
 ტუჩები უთრთის და მთელი ტანი
 თითქოს სჩხვლეტენო, უთრთოდავს, თვისს,
 ის წელანდელი ხმა საუცხოვო
 იმის ყურებში გველივით წივის.
 განთიადისას, ფიქრით დაღლილსა,
 თითქოს მოადგა თვალებზე ლული.

მაგრამ ფიქრებმა გონი წაართვეს,
 და შემოპყენეს ისევე გული:
 ვინ მოელანდა ის მზიან-ჩრდილი,
 ამ ქვეყნიურს კაცს არ ჰგვანდა ისა,
 მას ნაპერწყალი თვალებში უჩნდა
 თამარისადმი სიყვარულისა.
 და სიყვარულსა თვალებში ამგზნარს
 ამკობდა გრძნობა სობრალოლისა.
 ვინ იყო, ნეტავ, უცხო ქმნილება
 ანგელოზია ვითომ მფარველი?
 ეს სიკრუვეა: მის ხუტუქ თმასა
 გარს არ ეხვია გუგად ნათელი...
 მაშ ჯოჯოხეთში ტანჯულს სულს ჰგავდა
 ცოდვებისათვის. — ცოდვასა კაცსა?
 არა, ის იყო ბინდის მაგვარი,
 არც ღამეს ჰგავდა, არც დილის ეამსა.

ნაწილი მეორე

I

„მაშავ, რად სწყველი თავისს თამარსა,
 რად მითასებ გულის ვარამსა?
 ხომ მხედავ, ვსტირი ცრემლ-შეუზრობლიდ
 და ვერ დავძლიე მე ჩემი გული?
 ათასს მთხოვნელში ვერ ვის ავირჩევ,
 რომ გაამთელოს კვლავ ჩემი წყლული.
 ტყულად სკდებიან, — ქმარს არ შევირთავ,
 მანამდე მიღვა მე პირში სული.
 ღმერთმა არ მომცა, ვინც მე მინდოდა,
 როგორღა გავყვე ეხლა მე სხვასა?
 მას შემდეგ რაკი იმისი გვამი
 არ მივაბარეთ აგერ იმ მთასა,
 გადამერია რაღაც რამ ფიქრი
 და გულს მიბოკავს მე ყოველ წამსა.



დღე ვერ ვლოცულობ და ღამე ხომა
 საშინელს რასმე სიზმრებსა ვხედავ;
 ვიტანჯვი, ვჭკნები, სული მიშფოთავს
 და შენს წინაშე ამ თხოვნას ვხედავ:
 მონოზნად მინდა, მამავ, რომ შევედგე,
 ლოცვა-მარხვაში დღენი ვატარო.
 და მაცხოვარის ჩვენის წინაშე
 გულის ვარამი უხვად დავეფარო.
 იქნებ იქ ვბოვო სულის მშვიდობა,
 ამ ქვეყნისათვის უკვე ვარ მკვდარი.
 მიმილოს სადმე მყუდრო საბერომ, —
 ჩემთვის ნუგეშად დღეს ესლა არი.

II

შორს სადმე მშობელთ ერის მონასტეში,
 თუმც არ უნდოდათ, მისცეს თამარი.
 ქალი შემოსეს შავის ძაძითა,
 წელით შემოხსნეს ოქროს ქამარი.
 მაგრამ მონოზნის ტანისამოსში
 ძველებრივ სძგერდა გული ცოდვილი;
 სამგლოვიარო მწირის საცმელმა
 როდი განკურნა ერთხელ ცოდვილი.
 ტრაპეზს წინ მდგარსა, როცა სანთლებით
 ეკედერი იყო განათებული
 და მონოზნათა მკენესრად გალობა
 ისმოდა ღვთისთვის გაწაღებული,
 შემამფოთები ამ დროს თამარსა
 ხმა შეესმოდა ნაცნობი, ძვირი
 და საკმეველისა ხშირს ბურან-ნისლში
 ჰკრთოდა, სკურაუდა ამისა პირი.
 უბნობს თავისთან, უჭნევს თან ხელსა...

III

ეს მონასტერი დღელეში იდგა,
 მთებ შემორტყმული, განმარტოებით,

და მის მიდამო დასრდილულ იყო
 ვერხვით, ქანდრებით, დიდრონ ხეებით.
 როცა კი ღამე ფრთას დაჰკიდებდა,
 დაბნელებოდა მთა-ღელე, ველი, —
 ფოთლებში მკრთალად დადონებული
 სწანდა მონოხნის მხოლოდ სანთელი.
 ხეების ჩრდილში საფლავებზედა
 მწკრივად, ოდნავლა ეტყობა ჯვრები.
 გეგონებოდათ, დარაჯად დგანან, —
 არ მოეპარა არავის მკედრები.
 და, ღოდებზედა მკვირცხლად მტომარნი,
 ჩამოქანავდენ მაღლიდამ წყლები.
 ქვეით ქალაში შეიყრებოდენ,
 რწყვენ ველთა, მდგლოთ წმინდა ნაპითა,
 უხვად დაფარულთ კიდით-კიდემდე,
 როგორაც რთვილით, ყვავილებითა.

IV

ჩრდილოეთისკენ მთები მოსწანდა,
 თავს დაჰნათოდა იმით ცისკარი,
 და ხეობაში ნისლი ჰბოლავდა
 ლურჯი და ლალი, ცის მინაგვარი.
 ზარისა რეკა ცისკრის ლოცვისთვის
 ღეთისა მოსავთა ერთად აღვიძებს,
 ყველანი ერთად იკრიბებიან,
 ყველა შემოქმედს ერთ-ხმად აღიდებს.
 ქართკელი ქალი კოკით მხარზედა
 ჩამოეშვება მთიდამ წყალზედა.
 კინულის ჯაჭვი, წითლად ნაღები,
 გადაჭიმულა მთიდამ მთაზედა.
 საღამოს ეამსა იგივე მთები
 ტანზე იცვამდენ წითელს კაბასა.
 მუინვარს გაეჭრა თავით ღრუბლები,
 ცილამ დაშურდა დაბლა დაბასა.



კრძალოვით შემშერდა მთებისა გროვა
 ყინულით ნაქედს იმის ფაფარსა.

V

მკდარის ფიქრითა გატაცებული,
 არც როს თამარი არა ხარობდა,
 მთელი ქვეყანა ქალის თვალშია
 ჯოჯოხეთისა ცეცხლსა სდარობდა.
 ჯაფრი, ნაღველი მას გულს უღრღნიდა,
 იტანჯებოდა, სტირდა, წვალობდა.
 ღამით, როდესაც ყველას ეძინა,
 კარში მრისხანედ ქარი ხვიოდა,
 მუხლ-მოდრეკილი ღვთის-მშობლის ხატსა
 თამარი თავისს დარღს შესჩიოდა.
 მწარედ მოსთქვამდა... მისი ქვითინი
 თავ-ხარსა სცემდა მიმავალს მგზავრსა.
 იგი ფიქრობდა: „ბოროტი სული
 კენესის და მითი იქარგებს ჯაფრსა.“
 ცხენს მათრახს დაჰკრავს შეშინებული,
 გაეშურება წაწასვლელს გზასა.

VI

ნაღველიან გულით თვალ-სრემლიანი
 სარკმლით გასცქერის ხშირად თამარი,
 ოხრავს და შეოთავს, მთელი დღე-ღამე
 ჰქენჯნის მას ფიქრი მოუთმინარი,
 ყურში ვიღაცა ქალს ჩასჩურჩურებს:
 „ნუ გედარდება, საცაა, მოვა.“
 ამავე ნუფგეშს არ იძლეოდა
 წუხელ და გუწინ სიზმრების გროვა!
 ივა ესიზმრა: ნაღველიანს თვალებს
 აღერსიანად მას აშტერებდა;
 ქალს უნდა წმიდანი ლოცვა შესწიროს,
 მაგრამ ვედრებას ვერ ახერხებდა;
 გული მხოლოდ ერთს ამის ლოცულობს,

ამასკენ მიჰქრის მისი გონება.
როს წევს ქვეშაგებს, ედება ცეცხლი,
ღგება — ნაღველი მით არ შორდება.
ცეცხლი ედება საწყალს გულ-მკერდზე
ხვეწნით დაეძებს ტრფობისა საგანს;
უნდა აკოკოს, მაგრამ ეს კოცნა
აშრება ბაგეს, კრემლითა ნაბანს.

VII

სალამოს ეამმა საქართველოსი
მთა და სერები უკვე დაჰფარა.
და ამ დროს ქაჯი, ღამის გუშავი,
მონასტრის ბაღში შემოიბარა.
დიღბანს გარშემო ეხეტებოდა,
წმიდა იღგილის სცხვენოდა ღახვა.
ხანდახან თითქოს კოდეც ფიქრობდა
უარი ეყო თვისი განზრახვა.
თავი აიღო, სარკმლიდამ ნახა
მკრთალად მნათობი შუქი ქრაქისა.
ელის ვიღასკა, და სინუჲის დროს
მოისმა მკენესრად მღერა ქალისა.
უკრავს ჩონგურსა მწუხარე ხმაზე
და საუცხოვოთ დამღერის ზედა.
კრემლის დენასა ის მღერა ჰგავდა.
მომდინარს ხშირად და ზედი ზედა,
ისეთი ტბილი და ნახი იყო,
თითქოს შეეკმნა ქვეყნისთვის ცასა.
გეგონებოდათ, თვით ანგელოზი.
ჩამოფრენილა და უმღერს ქალსა.
წარსულს იგონებს, რომ იმით მაინც
შეუმსუბუქოს ტანჯვანი მასა.
სიყვარულისა ძალი გაიგო
წყვეულმა ქაჯმა მხოლოდ ამ წამსა.
უნდა გაფრინდეს, გადაიკარგოს,

ვერ ანძრევს, ვეღარ ერევა ფრთასა.
გამოლამებულს თვალეზიდამა
გადმოუფორდა ტყვიასებრ ცრემლი, —
დაეცა ლოდსა და გაწვა იგი:
ისეთი იყო მძიმე და ცხელი.
ჯერაც ეტყობა ქაჯის ცრემლისგან
გამწვარი ქვაზე იმ დროის ხერელი.

VIII

შეღვა მან ფეხი ქალის სადგურში,
კეთილისათვის უცემდა ვული.
მფიქრობს: იქნება ახალ ცხოვრებამ
განკურნოს მისი ღიღის ხნის წყლული.
მოლოდინისა, მომავლის შიშმა
შეიპყრო ერთს წაშს იმისი სული.
შევიდა... ჰხედავს მის თვალთა შხამსა:
სდგას ქერტფიმი — სამოთხის შეილი.
თამარს გვერდს ედგა იგი დარაჯად
ცრემლი სდენოდა მუარველის თვალთა.
შუბლი შეიკრა... ჰაეროვანი
ქალს დაადარა თავის მზრის კალთა.
ღვთიურმა სხივმა უცბად დაუბშო
ბოროტსა სულსა ბოროტი ხედვა.
აღერსისა და საღმისა ნაცვლად
ქაჯს შემოესმა კრულვა და წყვეა.

IX

„მოუსვენარო, ბილწო, ბოროტო,
ვინ დაგპატივა ამ ღამით აქა?
ღვთისაგან ჩემთვის ჩაბარებულსა
გინდა რომ მოსცხო ჩირქი და ლაქა!?
აქ საშენ-კბილო არაეინაა,
ამიერიდამ აქ სოდვა გაჰქრა.“
ჯერ ხმა არ გასცა ბოროტმა სულმა
და გესლიანად იღიმებოდა.

ქაჯისა გულში ძველის მტრობისა
ზეირთი ზეირთზედა იკრიფებოდა.

„ქალი ჩემია!“ სოქეა მან შრისხანედ:

„თავი ანებე! ეგ ჩემი არი!

დაგიგვიანდა, ჩემო ძამიავ,

გვიანა-ლა-დღეს შენი მსჯავრი.

ამაყსა გულსა ჩემის უფლების

დიდი ხანია მე დავსდე დალი.

აქ შენი ხატი ვის უნახია?

დღეს მე მგეუთენის ეს ტურფა ბალი.“

და ანგელოზმა საბრალო მსხვერპლისა

კმუნეთი გადავლო თვალეგი ნაზი,

გაფრინდა მალღა და ცის კამარას

გაავლო სხივის ბრწყინვალე ხაზი.

თამარა

ვაჰმე, ვინა ხარ? გაქეს შწიყელი ენა.

ქვესქელიდამ ხარ, თუ გწყალობს ზენა?

ქაჯა

ტურფა ხარ შენა!

თამარა

მაინც მითხარი, ვინა ხარ შენა?!

ქაჯა

ისა ვარ, ვინაც შენ ღამეობით

მანუგეშებლად გეცხადებოდა

და ვისიც სახე დაღონებული

ხშირად ჰაერში გეხატებოდა.—

ვისაცა ფიქრი შენს თავ'ა ადგა,

შეწყალება გულში გეხადებოდა.

ისა ვარ, ვინცა იმედს აღვზნებულს

სათავეშივე აქრობს და ჰლუბავს,

ისა ვარ, ვინაც არაფის უყვარს,—

მთელი ქვეყანა სწყველის და ჰკრულავს.

არაფერია ჩემთვის წელთა სელა,

ქვეყნიურ მონათ ვახლავარ ლახტი;
 მეფე ვარ კოდნის, თავისუფლების;
 კეთილის მტერი, ბოროტის ტახტი;
 შენმა სიტურფემ დამამონავე,
 რა დავინახე, მყის დავრჩი სახტი.
 ძღვნად მოგიტანე ლოცვა ტრფობისა
 და ქვეყნიური ჩემი ტანჯვანი,
 ზღვა ჩემთა კრემლთა, 'შენთვის დაღვრილი.
 ვთხოვ გამიგონო გულის ზრახვანი!
 ერთის სიტყვითა შენ შეიძლებდი
 შევრიგებოდი ისევეც ღმერთისა:
 თუ ღირს-გამხდიდი სიყვარულისას,
 დავიმშვენებდი მე იმით მკერდსა,
 ვით ანგელოზი ახლად შობილი.
 ვიახლებოდი მეუფის გვერდსა.
 'შენი მონა ვარ... როგორ მიყვარხარ!
 შემოგხვეწნივარ, კიდევ ვთხოვ ერთისა:
 რა წამს კი ერთხელ შენ თვალი მოგკარ,
 მყის შემეჯავრა უკვდავი თავი;
 კაცთ დღე-ნაკლული მზიარ-უღება
 შემშურდა ძლიერ, — მათ ბედიც შავი.
 არ მშურს 'შენთვისა მე ეგ ცხოვრება...
 უშენოდ შხამად მიჩანს სიცოცხლე.
 უსისხლოს გულში მოულოდნელმა
 სხივმა გამოსცა ისევ სიცხოველე.
 ნაღველი ძველის წყლულის ძირზედა
 იძვრის, ვით ქარით მინდორზე ოლე.
 უშენოდ რაა დაუსაბამო
 მთელის ქვეყნისა დაქერა, ფლობა?
 — ჩაღია მხოლოდ ერთი გამხმარი,
 გაუქმებულთა ტაძართა გროვა.

თამარა

დამეხსენ, ვასწი, ბოროტო სულიო,

მტრისას მგავს შენი საუბრის ჩქამი.
 ვაჰმე უფალო! ლოცვა არ ძალ-მიძს,
 უძლოურს გონებას ჩამესხა შხამი.
 შენ მე დამლუბავ, როგორც გეტყობა,
 სული წაწყმდება, დაიწვის გვამი.
 რისთვის გიყვარვარ, რატომ არ მეტყვი,
 რამ მოგივლინა ეგ ტრფობის წამი?

ჭაჭა

მეც რომ არ ვიცი, ჩემო ლამაზო:
 ახალმა გრძნობამ შემბიჰყრო მთლადა.
 თავით ვარდვიგდე ეკლია გვირგვინი
 რომ შენ გეპონო, დაგედო მტლალა.
 ჩემი წარსული სულ დამაფიწყდა, —
 შენს თვალებშია დღეს ჩემი ბედი.
 მიყვარხარ ფრიად, ეს სიყვარული
 შენს სიყვარულზე ბევრით არს მეტი:
 მთელ თვის ძალ-ღონით, მთელის გრძნობითა,
 შენის ტრფობისგან თავს მესხმის რეტი;
 ქვეყნის შექმნილამ ეგ შენი სახე
 ჩემს გულში ღრმად აღბეჭდილიყო,
 მუდამ თვალებში მებეჭებოდა,
 ქვეყნის სივრცეზე გაფენილიყო.
 დიდბანსა სტანჯა მან ჩემი ფიჭრი,
 საყვარელს სახელს ჩამშურსულებდა.
 უშენოობა ჩენს კეთილ ყოფნას
 სამოთხეშია ანაკლულეზდა.
 შენ ვერ გაიგებ, და ვერც მიჰხვდები
 ჩემს მწარე ყოფნას და ჩემს ტანჯვასა:
 მთელ სიცოცხლეში იმავ თავილამ
 ლხენის და ჯავრის ერთად ხელანჯვასა.
 ბოროტისათვის არას იღებდე,
 არც კეთილისთვის გაძღენილენ ქებასა.
 სულ ერთ ნაირად იტანჯებოდე



და არა ჰგონობდე ერთსწამს შებებასა.
 მუდამ ნანობდე, არას ნატრობდე.
 ყველა იცოდე, ყველაფერს ჰგონობდე.
 სკდილობდე ყველა გეჯავრებოდეს,
 განურჩეველად ყველასა ჰმტრობდე.
 იმ დღილამ, როცა წყველა უფლისა,
 ცით მოვლენილი, ასრულდა ჩემზე.
 ბუნებაც მაშინ გამოირგულდა,
 არ მიხუტებდა მე იგი მყერდზე.
 ოქროს გვირგვინით თავ-შემკვლეები
 ცაზე ვარსკვლავნი მიდ-მოდიოდენ,
 მაგრამ იმათაც თვისი ნაძმობი
 ეჯავრებოდათ და ველარ სცნობდენ.
 ღვთისაგან ჩემებრ შეჩვენებულთა
 სასო-მიხდილი თვისთან ვუხბობდი,
 მაგრამ მათ სახეს—ბოროტით სავსეს,
 მე რომ თვითონაც ველარა ვსცნობდი..
 განრისხებულმა გავშალე ფრთები
 და გავსრიალდი... სად? ან რისთვისა?
 ძველნი ნაცნობნი და ნათესაენი
 თავს არ იტყენდენ მეგობრისთვისა.
 მთლიად ეს ქვეყანა, როგორც სამოთხე,
 დაყრღე-დამუნჯდა მხოლოდ ჩემთვისა.
 როგორაც გემსა უბავ-უაფროს
 დააქანებდეს ზღვაზედა ქარი.
 ან როგორც დილით ღრუბლის ნაწყვეტი
 მისრიალებდეს ცაზედა ზქარი.
 არ კი იცოდეს მისი სადგური
 საით, ან რომელს კუთხეზედ არი.—
 ისე მე ვქროდი ცის სივრცეშია
 გზა დაკარგული, დღე განამწარი.
 არ განვაგებდი დიდხანს კაცთ გულსა
 ცოდვა-ბოროტის ჩაგონებითა.

მაღალს და კეთილს ტაღახსა ვცხებდი,
 ვიხსენიებდი მე გინებითა.
 მოლოოს ეამს ცეცხლი წმიდა რწმენისა
 ავანთე მალე ქვეყნისა გულში.
 და ან კი ღირდენ ამ ჩემ შრომადა
 მხოლოდ ორ-პირნი, სულელნი, მრუშნი!
 აედექ, მოემართე მთა-ხეობათა,
 ვებეტებოდი აქეთ იქითა;
 იქ მგზავრი ერთი ღამით, ბნელაში
 მოვატყუილე ცეცხლის შუქითა.
 გადაიხება ცხენითურ კლდეზე,
 ეძახდა კაცთა იგი შველასა....
 გვერდობი, დეღე სადც ის ვადეარდა,
 ეღება სისხლსა წითელ ფერასა...
 ბორცვის საქმით თავის შექცევა
 ჩემს წყლულსა ჰშველდა მაინც ვერასა.
 ტან შემოსილი ბევრჯელ ელეითა
 შავს ღრუბლებს შორის ქარივით ვჭროდი.
 ეს საშინელი ბუნების წყრომა
 ჩემს გულის ვარამს ეწამლა როდი!
 მითც შავი ფიქრი თანვე დამღვედა,
 დაუფაწყარსა ვერ ვივიწყებდი.
 რაა ხალხისა უბედურება
 მომავლისა და წარსულ თაობის?
 ღირსიც არ არის შესადარებლად
 ერთს წამთან ჩემის ტანჯვა-წვალების!
 რა არის ხალხი? მისი ცხოვრება?
 მოჩვენებაა... წარმავალია.
 იმედიცა აქეთ: რომ საიქიოს
 ის არ წაწყმდება, ვინც მართალია.
 ჩემი ყოფნა კი უიმედოა,
 უცვალეებელი, მუდამ-ეამს ერთი,
 და არც ექნება მას დასასრული,



მინამ ჭვეყანას განაგებს ღმერთი.
 ვერ დაისვენებს ის საბარეში!
 როგორაც ცუცხლი, ისე მწვავს, მღაგავს,
 ვით საფლავის ქვა, ისე მაწვება,
 ხან გველივითა მებევეა, მხელანჯავს,
 და დაკარგულის ბეჯის ნაშთზედა
 ტანჯვა-ვაების უკვდავ ძეგლს ჰმართავს.

თამბარი

თუმც საუკუნოდ მშვიდობას ვკარგავ,
 ვინცა ხარ ჩემი გარდნაკიდარი,
 ყურს ვიგდებ ჩუმის სიამოვნებით,
 ნუ მომატყუებ, სწორედ მითხარი.
 ვაი, თუ ენით ტკბილ-მოუბარი,
 გულში კი ღალატს, შხამსა ჰმალამდე.
 გთხოვ შემობრალიო! რა სახელია,
 საწყალის ქალის სულისა სძალიადე!
 ან ჩემი სული შენ რისთვის გინდა?
 ნუ თუ მე ძვირად უღირეარ ცასა?
 რამდენი არის ტურფა, ლამაზი!
 შენ კი ვერ ამჩნევ ჩემ გარე სხვისა!
 მომაკვდავის ხელს არ გაუხსნია
 იმათს მკერდზედა ზურმუხტის ღილი.
 არა! მომეცი შენ ფიცი მტკიცე!
 ხომ მხედავ, ვდნები ჯავრით, ვით ცვილი.
 შენ კარგად იცნობ ქალის ოცნებას!
 შიშსა სულისას ეალერსები...
 სულეველა იცი, გავებული ვაქვს;
 იმედოცა მაქვს, შაგებრალეები!
 ფიცი მომეცი, ბოროტებაზედ
 ამიერიდამ აიღებ ხელსა;
 ნუ თუ ჭვეყნადა არც ფიცს, არც აღთქმას,
 ველარ შევხედები დაურღვეველსა!..

ასეუბ ქვემოთ ცხრილებსაჲს ზენ
 პირველს დღეს ვფიცავ ქვეყნის შექმნისას,
 უკანასკნელსა ვფიცავ მის დღესა,
 კოდვის ჩამდენის სირცხვილსა ვფიცავ
 და გამარჯვებას სიმართლისასა.
 ვფიცავ დაცემის მწარე ტანჯვათა
 გამარჯვებისა მცირედსა ეამსა;
 ეხლანდელს შენთან შეყრასა ვფიცავ
 და მომავალსა გაყრისა წამსა;
 ჩემს ქვეშევრდომთა სულებსა ვფიცავ
 და უვნებელთა ანგელოზთ ხმლებსა, —
 ჩემს დაუცხრომელს მუდამ-ე მს მტრებსა.
 უკანასკნელად შენს ნახვას ვფიცავ,
 ძირს ჯოჯოხეთსა და მალსა ცასა.
 შენს სახელს ვფიცავ, ქვეყნის სიწმიდეს,
 პირველად დაღვრილ შენტ ცრემლთა წამსა;
 სათნოიანსა შენტ ბაგეთ სუნთქვას,
 შენს ზღვასაფითა მღელღვარეს თმისა,
 ნეტარებას და ტანჯვასა ვფიცავ,
 სიყვარულისა ჩემისა მადლმა,
 უარ მიყვია მე ძველი შური,
 ეკით შემარიგა აწ გულის-თქმამა!
 ამიერიდამ კოდვილით ფიქრთ შამი
 აღარ მიიღოს არავის ქვეამა!
 მწადს შევეურიგდე ისევეც ცასა,
 მწადის შევწირო ლოცვა უფალსა;
 სინანულითა გადავირეცხავ
 შუბლიდამ ციურ ცეცხლისა კვალსა,
 და ქვეყანაცა დასვენებული
 მე ველარ მომკრავს ველარსად თვალსა.
 მერწმუნე: მარტომ მე დაგაფასე,
 შემოგველები კიდევაც თავსა;
 ჩემს სალოცავად შენ ავირჩიე,

შენ შემოგწირავ ღონეს და ძალსა.
 თუ სიყვარულით დამასახუქებ,
 საუკუნეთა გაგიცელი წამში;
 სიყვარულშიაჲ შეუდრკელი ვარ,
 ვით ცოდვის ქნაში, მტერობის ჯაერში.
 ჰაეროვანო, ზემო ლამაზო,
 მზრებზედ შეგისვამ, აგაფრენ ცაში.
 მეფედ იქნები ამა ქვეყნისა
 და ზემს მეგობრად, — არ გაგცელი სხვაში.
 შეუბრალებლად, გულ-გრილად ცილად
 დაუწყებ დაბლა მიწის მზერასა,
 სადაც ბედნიერ ვერაფის ჰპოვებ,
 ვერ ჰპოვებ უცვლელს შენს შევენებასა;
 სადაც ცოდვები მხოლოდ მეფობენ, —
 წერილმანი ვნება, — არის სასჯელი,
 სადაც უშიშრად არ ძალ-უძი მტრობა,
 არც სიყვარული დაუზაკველი.
 ნუ თუ არ იცი? მითხარი, რაა
 კაცთ წუთიერი, მქლე სიყვარული?
 ხანი გაიელის, გული ცივდება,
 წყრომად ეცვლება კაცთ სიხარული.
 სატრფო სატრფოსა დაუძველდება,
 ახალს რა ჰპოვებს სილამაზესა,
 თვით ბუნებისა კანონი არის
 და ოცნებისა ცელქობა ესა.
 არა, ლამაზო, არ შემეტები,
 რომ მონად იყო ამ ვიწრო წრეში,
 ფლიდს და ბორბოტსა მეგობართ შორის
 მუდამ-ვამს შიშს ქვეშ, — ვერ სცნა ნუგეში,
 ოთხს კედელს შუა ვნება დასთრგუნო,
 ებვეწო ღმერთისა, — იგვემო ლეში,
 ღმერთის და ქვეყანას დაშორებულსა
 გაგჩლუნგებოდეს ეს გული მკერდში.

არა, ლამაზო, შენ სხვა მოგელის,
 სხვა სატანჯველი, სხვა ნეტარება:
 ძველი წადილი და ეს ქვეყანა
 უარი ჰყავი, ნუ გეზარება;
 ავიჩენ საგანს სანეტაროსა
 სხვას, ამის ნაცვლად, ნუ გედარდება.
 ჩემთა მსახურთა სულების გუნდსა
 დავამზობ ერთად შენს ფერხთა წინა, —
 მოახლედ გრძნეულთ, ჰაეროვანთა
 რამდენსაც მეტყვი, რამდენი გინა,
 აღმოსავლეთის ვარსკვლავს გვირგვინსა
 შენის გულისთვის მოვხდი თავითა,
 შუალამისას ყვავილთ ნამს ავკრებ
 და მოვრწყავ უხუად იმა ნამითა.
 დასავლეთისა ჭია-ფერ სხივით
 ვაგასხოვოსნებ, შეგიმკობ ტანსა;
 ტკბილ სუნნელებით ავავაესებ ჰაერს,
 შენს გარეშემო მთისა და ბარსა.
 საკვირველის ხმით სმენას დაგიტკობ
 ყოველს საათსა და ყოველს წამსა.
 ავიგებ მდიდრულ სრა-სასახლესა
 ძვირფას თვლებიას-ფურუზ-ქარვისა;
 ზღვის ძირში ჩავალ, ღრუბელთ ავცდები,
 გაღაფრინდები ცას იქით ქარად.
 მხოლოდ ამის გთხოვ, რომ შემოიყვარო
 და არ დამტოვო მე სოცხალ-მკვდარად

XI

წყნარადა ქაჯი, ათრთოიღვებული.
 შეებო ბავით ქალის ბაგე'ა:
 ქალი ხვეწნითა ველარ გადურსა
 მაკდურის ქაჯის გრძნეულს მახესა.
 მძლიერსა თვალებსა თვალებში უყრის,
 სწვავდა, სდაგავდა ვით ცეცხლის აღი.



დაპლიპლიპებდა ქალის თავზედა
 ხელ-შეუქცევი, როგორცა ხმალი.
 ვამ, გაიმარჯვა ბოროტმა სულმა!
 მომაცვდინებმა მის კოცნის შხამმა
 მოაწამლა ქალის უმანკო გული.
 და დაარღვია ღამის სიხუმე
 ქალის წვალეების და ტანჯვის ხმამა.
 ამ ხმაში სჩანდა საამო ტანჯვა
 და სამღურავი ხვეწნა დართული—
 და სამუდამოდ გაწმინდებული
 ყმაწვილ-ქალობა, აწ დაკარგული.

XII

თუჯის ფიქარი მსახურს ხელთ ეტყრა,
 გალიაფნის ვაჟის ვიდოდა მარტო.
 უტბად მოუკლო მოხუცმა ნაბიჯს,
 ქალის სენაკთან რა მიდგა ახლო.
 ყური დაუგდო... რა მოელოანდა?
 შესდგა კიდევაც. არ გაეჩქარა.
 თუჯის ფიქარსა შეძრწუნებულმა
 ცახცახით ხელი ზედ დააფარა.
 მას მოეჩვენა, რომ მყუდროების
 არღვევდა ქალ-ვაეთ კოცნა-აღიერსი
 და თან გულისა შემადრწუნები
 კენესა სუსტის ხმით, ენებოთ ნაღესი.
 ცოდვილმა ფიქრმა მას გაურბინა
 და გულშიაცა აღედრა ეჭვი.
 მაგრამ ერთბაშად მისწყდა ის ხმაცა,
 მოხუცმა მაღლა აიღო ქედ.
 ქარი არხევდა გარშემო ხეებს,
 ფოთლებს გაქჷონდა რხვეა-შრიილი,
 თითქოს კიდევებს ეწურჩულეება,
 ისე ისმოდა ხევის ჩხრიილი.
 შეძრწუნებული კვლავ გაეჩქარა,

რომ წაიკითხოს მალე კანონი და მოიცდინოს ეშმაკეული ფიქრი და ეჭვი შეუწყალონი. აღელვებულსა იგი მკერდზედა მთრთოლარეს ხელით ისახავს ჯვარსა. და იმედი აქვს განკურნებისა და უფალს შესძღვნის ვედრებას წყნარსა.

XIII

ვით ანგელოზსა საყვარლოდ, მშვიდად თამარს კუბოში ისე ეძინა. სვეტად ნათელი, ცით მოვლენილი მიცვალებულსა შუბლზედ ეფინა. სამუდამოდა თვალნი ეხუქნეს, ხშირნი წამწამნი თვალთ უფარავდენ, ან დღის, ან კაცნის მომლოდინეთა თავის ჩრდილითა დაუმალოვდენ. ამოდ დღის ბრწყინვალე შუქი დაჰფოფინებდა იმით თავზედა. ამოდ ბაგე მის ნათესავთა ეკონებოდა ამ თვალებს ზედა. ვინდა რას უშველს, როს კაცი კვდება და სიკაცხლისა წამები ჰქრება?

XIV

არა როს თამარი, საღბინოდაც-კი, არა ყოფილა ისე მორთული: გულ-მკერდი უხვად მშობელ მიწისა ყვავილებითა ჰქონდა მორწყული; მინდვრის ეკლეუსთა, მრავალ-ფეროვანთ ტყბილ სუნელებით შეემკრთ გული. ხელშიაც ეპყრა კონა ყვავილთა ნიშნად მიწასთან გამოთხოვების და სახეზედა ნიშანი ვნების, მოტყუებულის სიამოვნების.



სახე ქალისა, ვით სიცოცხლის დროს,
 მშვენიერებით იყო შემკული,
 ვით მარმარილო უგრძნობ-უნო,
 ოსტატ-ს ხელით ქანდაკებული.
 ღიმილი უცხო და საკვირველი
 შეენარჩუნა იმის ბაგესა;
 ბევრს სამწუხაროს ამბავს ეტყოდა
 იგი ფხიზელის კაცის თვალეგბსა,
 იმ ღიმილშია იხატებოდა
 შავის ბედისა მღურება გმობით,
 ამ სოფლის მიმართ უხმოდ, უსიტყვოდ,
 ფიქრით ნაძღვნევი: იყავ მშვიდობით!
 ფერფლი სიცოცხლის დაკარგულისა,
 თამარი ჰგავდა ისჯერ მოკლულსა,
 და ამით უფრო ღრმადა ჰკოდავდა
 თავის მნახველის სულსა და გულსა.
 ეგრედ მზემ იცის საღამოს ეამსა,
 თითქოს დადნაო თავის სხივებში,
 მოეფარება კავკასის ქედსა,
 დაილუპება ქვეყნის სივრცეში.
 მაგრამ მის სხივსა უკანასკნელსა
 შეირჩენს თოვლია მაღლისა მთისა
 და, მწუხრის ბინდით დაპირბადული,
 შორიდამ მოსხანს, ნელ-სხივობს ია.
 ვაჰ, რომ ეს სხივი ცოცხალ-მკვდარია
 და უღაბნოში ვერ აწვდენს ხმასა:
 გზას ის ვერავის ვერ გაუნათებს,
 დადუღებული თოვლიიანს მთასა!

XV

გროვად ნაცნობნი და ნათესავნი
 შექირვებულნი გაუდგნენ გზასა.
 გულს იმჯილავდა მოხუც გუდალი
 და იწიწენიდა ქალარას თმასა,

უკანასკნელად შეჯდა ლურჯაზე-
 და გაემგზავრენ ყველანი ერთად, —
 სამს დღე-ღამესა უნდა იარონ
 გზასა სამტეროს, საშიშსა მეტად.
 მამა-პაპათა საფლავებს გვერდით
 ქალს გაუთხარეს სამარე მათა.
 გუდალს ჰყოლოდა წინაპართაგან
 ერთი მეკობრე, მრბეველი მგზავრთა.
 როს მოუვიდა აღსასრულის დღე
 და საუბარი გაუბა მკედართა, —
 აღუთქვა თავის სასულიეროდ
 ტაძრის აგება მაღალსა მთაზე,
 სადც განუწყვეტლად ქარი გრიალენს,
 მხოლოდ არწივი ფრთასა სცემს ფრთაზე.
 მაღლე მყინვარის ყინულებშია
 აგებულ იქნა მარტო ტაძარი,
 და ძვალთა იმა ბოროტ კაცისა
 იქ მოიპოვეს თავ-შესაფარი.
 მას აქედ ის კლდე — ღრუბელთა სწორი —
 სასაფლაოდა დადებულა,
 თითქოს სამარე ცის სიბლოვეს
 უფრო საამო, უფრო თბილია;
 თითქოს ქვეყნისა მოშორებითა
 არ შემუოთდება ძილი მგვარი.
 ამოდ! მკედრის რეის არც სიხარული,
 არც მწუხარება აღარსად არი!

XVI

ანგელოზია, აგერ ჰაერში
 რომ მისრიალებს ქვეყნიდამ ცაში:
 ცოდვილის მშველის ცოდვილი სული,
 მკერდს მიხუტული, უპური ხელში.
 ანუგეშებდა ქალს იგი სიტყვით,
 მკვს მომავალზე მას უკარგავდა:

ჩორქსა ცოდვისას და ტანჯვისასა
 ცხარის ცრემლითა ტანზედა მბანდა.
 შორიღამ იმის ხმა სამოთხისა, —
 მან ვაიტაცა ცოდვილის გული, —
 ამ დროს ჯურღმულით გაუთამაშდათ,
 გზად გადვლობათ ბოროტი სული.
 ვით ქარიშხალი, ის მძლავრი იყო
 და, ელვის მსგავსად, სახის მჩენია,
 მან უსირცხვილოდ ანგელოზს უთბრა:
 „საითყენ მიგყავს, ქალი ჩემია?!“
 თავის მფარველის გულს მიეხუტა
 თამარის სული ლოცვა-ვიშითა,
 მთლად ცახცახებდა და კანკალებდა,
 რა დანახა, იმის შიშითა;
 მომავლის ბედი დღესა სწყდებოდა,
 მაგრამ დღეს იმას ვინლა იცნობდა?
 როგორ ბოროტად იტკირებოდა
 და შხამს მტრობისას თვალით აფრქვევდა!
 დაუსაბამოს მტრობის და წყველას
 გამოიტყოდა თვალეზი მისი;
 ბნელსა და ცივსა სამარეს უგავს
 გაშეშებული კვლავ სახე მქისი.
 „გამშორდი, წადი, ურწმუნოვ სულო“,
 ეუბნებოდა შიკრიკი ცისა:
 „დიღხანს სტკებობდი გამარჯვებითა,
 საქმეს გაარჩევს დღეს მსჯავრი ღვთისა;
 და კეთილადაც გადასწყდა ისა!
 განსაცდელისა ეამი წავიდა
 და ხორციან ერთად ბოროტიც გაქრა
 ბოროტებისა ხუნდი აეხსნა...
 ამას ჩვენ დიღხანს ველოდით აქა.
 თამარის სული იმათგანია,
 რომელთ სიკაცხლის ყოველი წამი



არის მხოლოდა ტანჯვა, ვაე'ა,
 უნუგეშობა, წვალება, შხამი.
 საუკეთესო მასალით ღმერთმა
 დაწნა არსება, მათი ბუნება;
 ვერ შეიფერებს მათ ეს ქვეყანა
 და არც ისინი მას ეთვისება.
 ღიღის ფასითა გამოისყიდა
 თავისი ცოდვა შეცოდებულმა;
 იგი იტანჯა სიყვარულისთვის,
 კარი გაუღო მას სამოთხემა.*
 აქ ანგელოზმა მრისხანებითა
 გადავლო თვალი ბოროტსა არსსა,
 მხრები გაშალა გახარებულმა,
 გაფრინდა მარდად, გაეკრა ცასა.
 დამარცხებულმა ქაჯმა დასწყეული
 თვის უგუნური ფიქრი, ოცნება.
 მოუნდა ისევ დალონებულსა
 უსიყვარულოდ ქვეყნად ცხოვრება.

კაიშაურის ხეობას მალღით
 მრისხანედ დასკქერს ღიღი კლდე, სალი
 და შუბის-წვერად მღგარ ნანგრევებზე
 დღესაც მიურბის მოგზაურს თვალი.
 ამ ნანგრევთ ამბით დღესაც დედები
 შეიღებს შიშსა და ძრწოლისა ჰგვრიან.
 ნანგრევები-კი თავის წარსულზე
 და ღიღებაზე ცრემლებსა ჰღვრიან.
 შივად ხეები მოიყურება,
 დაბლა სოფელი გაშენებული;
 მის არე-მარე უოველ მხარეზე
 ჰყვავის, სიმწვანით დამშვენებული.
 გაურკვეველი გრგვინვის ხმა ისმის;



ძირს ქარავანი ვლენ ზარის ეღერით;—
 ღრუბელთა თავზე გადანადენი
 მდინარე ბრჭყვინავს ქაფით და პერთთ.
 ახალგაზდაა მისი ბუნება
 სიგრილით, მზით და გაზაფხულითა;
 ბუნება ცელქობს, მუღაბა ხუმრობს,
 უღარდებლობით, სიყმაწვილითა.
 მაინც მწუხარებს ციხის ნანგრევი,
 რა მოიგონებს წარსულსა დროსა,
 როგორც მოხუცი კოლ-შვილ-გამწყდარი
 ბედნიერადა სცხოვრებდა როსა.
 და უჩინარნი მცხოვრებნი მისნი
 უცლიან, ეგებ ამოხდეს მთვარე.
 მაშინ ისინი მზიარულობენ,
 და გაიღვიძებს ბედკრული მხარე.
 ობობას თვისი ქსელი გაუბამს,—
 ზედ დასეირობს ის განდევილი;
 თავის ქსელისა, ხელოვნურისა,
 მკვიდრად ზაედეგა მას საძირკველი.
 ფსლიკვების ჯარი ბანზე თამაშობს,
 გამოცურდება ხვრელიდამ გველი,—
 იმ ნანგრევების ერთგული მცველი;
 ხან რგოლებადა მოიკეცება,
 ხან გაიშლება თოკივით გრძელად.
 მაშინ ხმაღსა ჰგავს ფოლიადისასა,
 დაჩქენილს ოხრად ბრძოლისა ველად.
 ნაოხარია აქაურობა,
 აღარსადა სწანს წარსულის კვალი;
 საუკუნოთა სვლით შემუსრევილი
 მოსწანს ნანგრევი, დღეს შესაბრალი;
 აქ იმის მთქმელი აღარვინაა,
 სად არს გუდალი, ან მისი ქალი.
 მაგრამ საყდარსა, კლდის თავზედ მდგარსა,

სადაც მათს ძვალითა განუსვენია,
 უფლის ძალითა, შავს ღრუბელით შორის.
 ობლით გუმბათი დაუტენია. —
 კარისა მცველად სალი კლდეები
 დღეს-აქამომდე შაურჩენია.
 იმ სალითა კლდეთა მუზარადადა
 მრავალ წლის თოვლი თავს ახურია;
 ჯავშნად გულ-მკერდზედ სალი ყინული
 დიდის ხნიდანვე შენახულია.
 მძვინვარე ზევი, დაქანებული,
 ყინვის მოუსწრავ, განერებულა;
 აქეთ და იქით დაკიდებულსა,
 შუბლი შეუკრავს, განერებულა.
 იქ დაუდგრომლად ქარი ბობოქროს,
 ქალარა კედლებს ამორებს მტერსა.
 ხან ნაღვლიანად დაილულუნებს,
 ხან გუშავთ უბობს: სდარაჯონ მტერსა.
 აღმოსავლეთის ესმა ღრუბელითა
 გასაკვირელი საყდრის ამბავი:
 მოდის მათ გროვა მუხლ-მოდრეკითა,
 ლოცვა-ვედრების გამომსახავი.
 დიდი ხანია, საფლავის ქვებზე
 გლოვა-ხარითა ცრემლს არვირ აფრქვევს;
 მხოლოდ მყინვარი თავის კლდეებით
 სდარაჯობს მსხვერპლსა, გარს ღრუბლებს ახვევს.
 დაუდგრომელი კაცთ სამღურავი
 მშვიდს მოსვენებას მათსას ვერ არღვევს.

ვაჟა-ფშაველა.



შავი ღრუბლები.

შავი ღრუბლებო,
სადაგელებო,
შევშურდათ განა,
რომ ეს ქვეყანა,
სამოთხის დარი,
უხვი, მდიდარი
არის ბუნებით,
ყოელის შვევებით
უხვით შემკული,
ტურფით მორთული?

და არ ეხსნებით, თავს დასტრიალებთ,
მაცოცხლებელსა შვის სხივებს აკლებთ!

მაგრამ წყეულნო,
შეჩვენებულნო,

ამოვიარდება ერთხელაც ქარი,
თავს დაგვეცემათ რისხვისა ხარი,
გაიფანტებით, ვით ბუმბულით გროვია,
და ამ ქვეყნის შუე ისეც ამოვია!..

ომ ქარო, ქარო,
ტკბილ-სანეტარო,
გემუდარები და გევედრები!
ამოდი მალე;
სრულიად შესძარი
აქ მთა და ბარი,
იქ კი წყეულებს,
შეჩვენებულებს,

ეკვეთე ღრუბლებს, თავ-გასულებსა,
საზე შავ-მწელით გადაკრულებსა,
და მოგვაშორე,
გაძვანტე შორე!

რომ კვლავ ვიხილოთ ზეენ შუე და მთავარე,
კვალად აყვავდეს ეს ტურფა მხარე,
სიცოცხლე სდულდეს, გადმოდიოდეს
და მეც გლახ-გული აღარ მტკიოდეს!..

დაბე მაგრული

1895 წ.



ვატა-ფშაველა

ზანიდი დედა

(კახური ლეგენდა, ბერგის გავაჩილიდგან)

ბერძენული
პიზლონი

ბრძელ დედა ხნა მას აქედ, რაც ეს ამბავი მოხდა. მრავალ-ტანჯულის საქართველოს შვილები დაეცხრომელ მტრებთან ბრძო-ლაში ასწორებდნენ დღესა და ღამესა. ქრისტიან საქართველოს, აზიის. ჭემაზე უმრავლეს, ურწმუნო მესღებანთა შორის მომწვე-დეულს, თვისს დასუსტებულს ხელებში ჰგრაფ ექარა იესო ქრის-ტის წმ. დროშა, და ამ დროშის დაცვისათვის თვისს ხისხლსა ჭკვიდნენ ყველა მისხა შვილი—ჭლი თუ კრეა, დედა თუ შტა-რა. ქართველებს სჯულისა და მამულისათვის ისეთი ტანჯვა-შწუ-ხარება გამოადრეს, რომ ამ ტანჯვა-შწუხარების გავონებაზე კაცს უზომოდ გული უკედება.

კალოუბინის, ძველად უჯანურსა და მიუჯელს, ხეობაში ერთს შტარა სერზე დღემდგ დარჩენილა ძველებური კომეა. უწინ ეს კომეა მხლობელ სოფლის მებატონეს, თეადის კოკოტა კანსამეს, კეუთუნოდა. ამ კერა კომეება ლეკაინობის დროს კახეთში ყველ-გან იყო შიგ თუკს იყარავენს მუომართა ცოლ-შვილი, მოხუნია და უძღურსია. თეადი კოკოტა კანსამე, როგორც ხელის ზემარ-გადმოცემა მოკვიათრობს, შესანიშნავი გულადი და მუომარი ეყ-კრეა თურმე იყო. ამ კომეს დღესაც კოკოტას კომეს ეძახან.

ბნელი, ქრამხლიანი ღამე გადაიქა ხეობასა და წვედადის ზეწარში გაჭხია. რაზედ წამლდ ერთი კარსკელია არა სწანდა. მძიმემა და შკმა ღრუბლებმა შირი მოახსნა და თითქო წარღვნას უჭადის დედა-მინასო... სკისაკენ შურდელაით დაქანებულ ნიღ-კრების სმა, შკოდეკომის ქრის ღრიალი, კნესა და ჭრატ-ჭრუჭი უხარმზარ, ასწლოვან ხეთა, რომელთაც ქარი ღერწამსათათა ზნკ-და, ერთ სავოჯოხეთო გუგუნად შერთოდა და ამ გუგუნში სხეა სმა არა ასმოღარა.

ყველასა სძინავთ ტეხილად, უდარდელად. სძინავთ სოფელე-ბა, მუომობით ქნც გაწყვეტილთა; ტეხილს ძალში არიან თეად კოკოტას შხანურნიცა. კომეში ოხერითა და კნესით დაძინა ბუ-

ბაბა თავისი ბატონა შვილი-შვილებთან შორის. არა სძინავს მხოლოდ კოკოტას ახალგაზრდა ცოლს, — ფიქრები სძიებოდა კარგად, რაც ქმარი უყენისებულად ომში გაისტუმრა, გული ცუდს რასიეკუნება. რომ კოსოვებოდა და გზას ულოცავდა, მაშინვე ჭრანობდა — მეტად კარ დავინახე. და აქა, ახლა, გაბუნებებულ ბუნების ღრიალზე, გულმა უარესად შემოჭყენეს; უბედურების წინასწარგანზობა უფრო და უფრო გაუდიდა; თვალ-წინ ესტება სურათება ერთი-მეორეზე უარესები. ვერ წარმოუფდება, ვითომ მისი ძვირფასი კოტე, მისი ოთხასი შვილის მამა, ხმარსებებს ბრძოლაში მოკლეს, მკვდარი დაუმარხავი ჭვდია, და სადარბაზო მისს ხორცსა ჭვლეკუნ, ხოლო ყუენი უბრავს თავლებს სახსრან. არავინ მაძიარებს მისს მგებჯარსა სამშობლო მარსა; არავინ აუგებს წესს მისს ძვირფასს გავში, არავინ დაიტარებს მშობლიურადა, ცხარე ცრემლით არავინ დაქნამეს. მისი ცოლი-კი, მისი ძვირფასი, სუყარული ცოლი, აქ არის და არ შეუძლია მისი უსულო გვამი უსულო მტრებს ხელითგან გამოჭვლიყოს და ისე დამარხოს, როგორც მართამდიდებებს ქრისტანებს შეკურთხის. სურათი იცვლება. ქალსა ჭკონია, უბედურება თავითონ მე და წემს შვილებს დაგუტუდება თავისო. მხოლოდ არ იფიქროს, რა მხრიდან კლოდოს ამ უბედურებასა.

მსხვილი ცრემლები ერთი-მეორეზე ხამოჭრენს უძლიობისგან გასიხსნისებულ მშენიარ თავლთგან ღამისსა ქალსა; ტანჯულსა გულსა შეება მანგ აღარ კლევს. სტაროდე, სცოდავი, ბედასგან დავიწყებულო მსხვერპლო! მეგრამ სატარელი შენი სუყარული, უშინარი და მამრი კოტე არ არის!.. კოტე ცოცხალია, თავდავიწყებულს ბრძოლაშია, აღარ ახსოვსართ არც შენა, აღარც შვილები. ახსოვს-ღა მხოლოდ სამშობლო თავისი და შებღალული ქართველთა სჯული. მამულსა და სუელსა განგვალებს შენგა, ანგვალებს შვილებსაგა და თავსა თავისაგა. მოკვლეობა და ბატონისება კოტესათვისა ყველაზე მეტად ჭლარს, ყველაზე მეტად ჭფასებს. შენგ კარგად იგი მისი განედრკველი ხსიათა და თავიგ მოგჭკეს კოტეს ამ გვარის ხსიათათა! შენ თვითონ ხარ გამსჭვალული წიდა გრძნობითა და დამტყინებ თავის დროზე კადეც ამისა. იტარე შენს შვილებსათვის, იტარე შენს თავისათვის... დედა-შვილთ

მწარე განსაცდელი მოკელისთ, მოწამებრივი გაირტყინი უნდა დაგვე-
დგასთ თავზედ!...

მაგრამ ძველს ქართველს ქალს დადისხანს ტიპილი ხსიათოდ
არა ქჭონია, გაჭირვების დროს არა სტიროდა, — თვალს უსწორებ-
და, ზიარდამირ შეეხებოდა. ქალს ქმრის უამბობა ჭკლავს, გულს
უწელულებს, კომპი გამოძვედევლის. უნდა გაიგოს, რა მოკელის,
გარეგ გამოიტრას, ხადგ თვისუფლად შეეძლება ფრთისა გ:ძლას
მისს გმირულს გულსა. მალე მანცა გაეადოდექს ეს ბნელი დამქ!
მაგრამ მალე მხოლოდ მხიარულების დღენი მარბიან; მწუხარების
და ღირდის დრო თითქო უფრო გრძელდება. ქალი უნუგამოდ
აწელება კომპის განიერ ოთახის ხან ერთს გვიცესა, ხან მკარესა.

აი, სულ უმცროსის, ძუძუ-მწოკარა შვილის აკანზე დახს-
რა და შიშით აღსიქს თვალებით მორს დაამტკრდა, თითქო უნ-
და გაიგოს უკლავფროთ; დაცქეტიდას უურებით სცდილობს ქარ-
მხალის დრადში გაიგონოს — კომპის კედლებს აქით რა სდებო.
მაგრამ ქმრის ნარშეგვლეღის: სტეინების და წვიმის წვეთების გ-
გუნის მეტი არა ისმის-რა. მხოლოდ ხანდახან ძალი დაიძმეუ-
ლებს ან კადვე ხხლის ხხურავიან ან კავალზე შეყარებული ბუა
დაიბხებს საზარელს ხმზედ. ამითის ხმის გავონებაზედ სკედა და
კავანია უფრო კმატება ქალსა. ძალიან ვეუილი და ბუას ხმა უბე-
დურების მომასწავებელით, ამბობენ სოღმე სოფლეღნი და არცა
სტუფიან.

ღამშრის მძუტვაი ხინთლე ოდნაე-ღა ანთებს განიერს ტახ-
ტზედ მწოდარე ბეშეების სახესა; ბეშეებს ბეგრდთ უწესთ ბეპია
კოკოტას ცოდისა. სმარსელებმა, შუოსიკის დროს, კოკოტას დე-
და არ დახოგეს დამოკლეს, და მას აქეთა, დედობას ბეპია უწეეს.
საგოდაენი! დედაზე მეტად სმარდისხია, უმწიონი ეს უსუსურნი
არსებანი არიან! ტეპილადა სმინკოთ, უბედურებას აღარც-გი მოკლი-
ან... ვინ აქნება ბატრონი და მეფარეღი გაჭირვების დროს? —
სხვა მეტი ვინა, თუ არ ნუგამი ვეღლა მწუხარება და შეკაროკ-
ბულაა, დედა დედათა, ვეღლა დედას შვილითა მეფარეღი!?. ამ
ფრქვზე ახლგაზდა დედამ მწუხარე თვალებითა შექსედა ღვთის-
მშობლის მშეიდსა სახესა, კუთხეში, და მისევე ძალია აღამერო

ხელნი თვისნი. კიანადრებასაბრალოს გული, ნეტავი, მღვდელისა
გათხდეს!

მაგრამ შონისმისკან, შიო ფიჭრებო! ამ ფიჭრებს თვისს გუ-
ლშია აფიქსი არ უთმობს. სტდილობს, ბედნიერების სურათების
წარმოდგენითა თავს ნუგეში სცეს. ერთი დღეც იქმნება, ეს უბე-
დური დროც გადაივლის ისე, როგორც ეს ქაიამხალი...

მაგრამ, ხუ!.. კილაც კარებს მოადგა... ასე გეიანა კინ მო-
კიდოდა?! გული აღარ სცემს... კილაცა ჭევიარის... ძამაშვილისს
ემსგავსება... ნეტავი აგრე! საიდგან განხდა? გუშინის აქეთ შინ
არ უთფილა: საბაღბოზე საქონელს გაქვია. თავს ბრეა ესხმის, აზ-
რება ერთმანერთში ერევა, ერთის სიზნისგან გადაურბის მეორეზე-
და. ხმა ისევე კამის: „თავს უშეკლეთ; ღვევობა... ახლოს არანს!..“
ქალმა გაიგო, რაც ამბოია. თავს უნდა შეკლა.. მაგრამ, დამრ-
თოს!.. სად ან როგორაზ მიქეარდა კარებს. სიჭარბოზე გააღო და
თავზარ-დევებული უყარე გადახტა... მისს ძამაშვილს, 13 წლის
უმწიკლს, უყანითგან სიხელი დაქკრეს. და ისიც ზღურბლზე გა-
დაიშხლართა, უსულო, შეკვარა. გამხეცებულმა, სისხლ-მოწყუ-
რებულ ღვევების გროვამ მედგრად ისევე და ზირდაძირ კომეში
შეიჭრა. ქალმა გონი არ დაქკარტა, არ შეკმინდა. სურტი არსება
გამძიფრებულ ღომბდა იჭვა და თვისს ბუნჯეს მიფარეკლად დაუდ-
გა მოქლის გულადობითა... მერე მემემოიარა ბეში აყნითგან
ამოტკლიაფა, ხელში დაიჭირა და გახერდა მტრისა შირ-დი-
ზირ. სიხურობაზედ სსეა ბეკმევიც ტირილით ღოგინიდგან
წამოხტენს და მიტყუტენს სიწუალს დედას. დედამაც თვისა შვი-
ლები უკლა დაქყურა თვისის ტანითა. კომეის დასაცეკლად სილ-
სიც მოიჭრა. მაგრამ რას დიღეკენს მოსეცნა, დედაყენა, სილ-
ნი?! ღონიერნი ახლგაზდინა, კისაც-ეა თოფის ტარება შეკლო,
საზღვარ-გარეც იყენს გასულენა, კოტკს ახლდენს თანა და მ.მე-
ლისათვის სიარსელთ ებრძოდენს. კომეის უერთამდე გაღებულ კ-
რებაში ქარსა და წყამსითან ერთად შემოსისმის უვარილი მებრძოლ-
თ, კენეს დაჭრილითა და მომკედაც სოფელელთა. სოფელში დეთის-
რისსება დატრიალდა. კომეში მუთიფთ უარესი დღე ადგათ... არე-
ლიბა, სისხლი, მგხეჯარნი, წვეუ-ერულია, კეამლი ნიშქისა და

ახალ, თბილ-თბილ სასხლის სუნს და ორთქლი—ესეებს კომპიას ოთახში მტრებისა და კომპიას დამცველებისაგან ტყუა აღარ უნდა უკვლა ერთმანეთს აწკება. ზოგი კარდება: სხვები ზედ ადგებიან და ცოცხელს სრესენ. კაცი არაინაა, დაჭრილს მიეშველოს... უკვლას თავის-თავი გასჭირებათ. კომპიას ოთახი მოღუდ მოიფინა დაჭრილებითა...

„ბეშკები დაქზოცეთ! დედა დაიჭირეთ“!.. კაისმა ბრძანება და მტრები ახალგაზრდა დედისაგან წამოვიდნენ. მაგრამ კალომბულ ქალის დაჭრა არც ისე ავილია იყო. ერთის ხელითა ბეშკი უჭირავს და თეისს გულთანა მკარდა აკრავს, სიღო მკორე თეის-უფად ხელითა სხვა შვილებს იფარავს. ბებია მისსა დანა უჭირავს და ისე უშველავდება მტრებსა. მაგრამ ახოდა...

დედას ბეშკი გამოსტაცეს და ტინი ჭეის კვალზედ შეანთხეინეს... დანარჩენი ბეშკები სანელის წვერზედ აატეს... აქა, ბებიაც სასხლის გუბში ფართხლობს. ახალგაზრდა დედა გამწარებულა აქეთ-იქით ეწვეტებოდა; ბერსა კვდა, თეისა მკორფსი შვილები დეხსნა მტრის ხელისაგან: კბილს, ხელს, ფეხს და, რაც-კი მოქხედებოდა, უკვლავურს ქმრობდა იარაღადა. მაგრამ რა-კი დანახა, ვისთვისც კობრძეი, უსულოდ ურდიან, სასხლში ამოსკრილებით, გარინდდა, არა ესმოდა, რაც გარშემო ხდებოდა, არც ის ესმოდა, რომ მის განკებ არა სცემდნენ ლეკები. ქალი კვრს ქხედავს, მტრები უკვლავურს როგორა ქხურუტეინან, ამტურევენ წინდუკებსა, ავალეურებენ განჯინებსა, კვრხლუელს ერთად აქუნებენ, ქხევენ მკორფსის კბებსა: ქალს არ ესმის, როგორ ივინებთან და იღანძლებთან ნადავლის გუოფხუჯა; ქალი მხოლოდ დასახინრებულ კვამებსა ქხედავს თეისის მკორფსის შვილებისსა, ქხედავს მათს სასხლს და კვრ გუგია კარვადა, რაცც ხდება მისს გარშემო. სასხლი, სასხლი და მცხედრები, — მკტი არა სინს-რა. მაგრამ აი, კალამც ტლანქა ხელები მოქხეია წელზედ და უთისრა სითა სრინწინათა: „წემთან წამოდა, დამაშო ქალი! ხემა ცოლი იქმნება, სინამ შენი ქმარი არ გამოიყიდის შენს თავსა.“

ამ საიტეებშია ქალი გონს მოიყენა. „არა, იფიქრა, ჯერ უკვლავური არ გათავებულა. ნამუსი დამრჩენია და თავი არ უნდა დეხ-

ზოგო მისთვისა... ადამიანს მამაკაცი ეგონებოდა, ისეთ ნაბრად გამოიღო თუი: მარცხენა ხელით აუზიკეს საღებავი, მარჯვენა ხელით აუზიკეს საღებავი. — შექმნა გამხეცებულმა ლექსმა და ხანჯლით მარცხენა ხელი ჩამოაფარა, მოკეთილი ხელი ქალის ფეხებთან დაკარდა და სისხლმა კაბა შეუღება. მაგრამ არა ჰგონებოდა ტყვედსა. თუიში აზრმა გაუღელა. იფას, რაც უნდა ქმნის, როგორ უერთგულოს მოკალეობს, გუშტორებისთვის თუი როგორ დაიფაროს. სახე-გამოწევისებულმა, დამხეცებულმა, ლექს უთხრა: „ადამიან! წამოგვეყო, მხოლოდ ნებს მომეცა, ნებს სახლს გამოვემშვიდობო“... ლექსი დასამხდა. უარი რად უნდა კოჭა? სად წამიყო, — ქვიშაობდა. ახლავაზდა ღამიში გმირი დედა მიქბრუნდა, გადასთელს თუისის შეილებს მესხდრება, მარჯვენა ხელის თითი საუთარისაკე სისხლით დაიხვეს და კედელზე დაწერს უნასხეული სატყვეები თუისს საუკრულ ქმართან: „არ უღალატო სჯულსა, მიმუღსა და სინადისსა. შენგ ხელსაკით თუი დასდე ამითათუის“... და სინამ განზრახვას გაუგებდნენ, იქვე მდგომ ლექსს ქარქაშადგანს სანუალი ამოსტაცა და გულში დაიტყა...

დადღელი სამდღირე კაზიდექს ამ დღეს ლექსმა კომეითგანა. მაგრამ შეიარფესი მარჯალიტი — ცოლი სახელოკან მკომარისა, თუიდე კოკოტასი — მარტო მკედარი ხუვარდით ხელში.

ეს წმიდა წარწერა სახეურად დახტრულ კომეის კედელზე დღესაც არის. მის წინ მოწიწებით ხერჯება ვეკლა, ვისაცა სწამს მღალა კანობა საუკრულისა მიმუღისა და სჯულისაღმა და ვინგ მტკიუნსებულთ კედეება მტკიუნსებისა და მოკალეობის შეგნების თუით მტკიუნსებულთ. ამ წარწერის ამბუი უბრადლო მწვემსებულთ-კა იფიან.

თ. სანოია



ნიკოლოზ ლომაძე

მხად ვარ წავედე, გადავიარო,
 გადაუღვლელო მთა და ტყე-ველი,
 სითბო სიცივეს გავუზიარო,
 ტყულა-უბრალოდ სიცოცხლის მწველი.

არა მაქვს დარდი მწარე წვალების,
 შავის ბედისაც არა მაქვს რიდი;
 არა მაქვს ტრფობა მზის ბრჭყვიალების,
 არც აედარია წვალება დიდი.

რად უნდა მკონდეს მე სიყვარული
 დედი-ჩემისა, — გამაგებინა,
 ნუ თუ იმისთვის, რომ მომცა გული,
 უგრძნობს წვალება რომ მაგრძნობინა?

რა არის მოძმე უთუოდ ჩემი?
 ყველგან ერთია აღამიანი: —
 დაუნდობელი, თავზარ-დამცემი,
 მხდალი და მონა, თავ-ქარიანი.

რატომ მიყვარდეს სამშობლო მხარე,
 თვითონ რა მიყო, რომ ვენაცვლები?
 იგი წარსულის არის სამარე,
 და მეც იქ უნდა ჩავაწყო ძვლები.

მოვშორდე ყველას, — ზღვისა გავცურავ,
 დავთელი ვარსკლავის ელვარებასა,
 დარდას გულისას კრემლიად გავწურავ
 და შეერთამ ზღვისა მღელვარებასა;

აზრსა ავანთებ, გულს მივეცემი,
 ქვეყნიერებას შემოვხვევ ხელსა; —



რასა დავკარგავ — მე რა მაქვს ჩემი?
 ან რას შევიძენ დავკარგელსა?
 ვიორგი გვაზა

მ უ ზ ა ნ .

ვიცი, მუზავ, ვიცი, მარტო
 შენ გვკუთვნის ჩემი გული;
 შენით სკოცხლობს და სულღვმულობს
 წმიდა გრძნობით აღვზნებული.

მაგრამ ქართველს სხვას ვის ერგო
 ჯერ ის ბედი სანატრელი,
 რომ ცხოვრების მიზნად ჰქონდეს
 მას სივანი საყვარელი?...

ვიცი, მუზავ, ვიცი, მარტო
 შენ გვკუთვნის ჩემი გული;
 მაგრამ ვაი, რომ ჩვენს შორის
 კედელია ამართული!..

1894 წ.

ლუბუ შავჩელი

მელოს დღიურიდან

5 ოქტომბერს 189...

ნეტა, ეს რა მუშაობა?! რაც დრო მიღის და ხანი მუშაობა,
 მით გული უფრო მიჩქროდავს, გულს რაღაც მაკლდება. ხან, სულ
 უმაჩუვად, ისე მომწუხინდება, მომანდება ტირილი, რომ გული
 ვაღში მომეხუთება; მაგრამ ცრემლები ეი არსად არის; ვოკელსავე
 გაფანტუნებს, ხმას და დამახებს ბეზარს მოვეყვარ და მამფოთებს.
 დილას ზეშმა უმცროსმა დამ ჩემ წინ გულიანად რაღაცედაც ჩაი-
 ეუშინება; და მე ეი მიკვდა და სილა ისე ეკვარტევი, სიცილი ტი-
 რილად გადაუჭვტევე. რისთვის? მეც არ ვიცი. მერე ბევრი ვინანე.
 გულ-მევიწყობაც რომ მუშაობა! ეს რაღა უბედურობა! ხან

სად მივალ, — ხან სადა, კეძებ რადსაცა და ვი არ ვიცი, რას
 წიგნის აღება რომ მინდოდეს, მიკრატელს ვაქვებს ხელს და მიკრატელს
 ტლასა ან საყვარელს ვიდე, — ბაღში ვიღებ და ხელში მიჭირავს.
 მგონია, მარომ ამხედ გაიტანა...

6 ოქტომბერს

დღეს მეორე დღე, რაც მე ოც-და-სამის წლის შეესრულდა
 და ოც-და-მეოთხეში გადავდექა. ოც-და-სამისა... უკ, რამოდენა ხანია!..
 ეს რიცხვი როგორღაც ღოდსივით გულს დამაწვ და სულს მახუ-
 თავს. თითქოს გულის-სიყვარული მომგლიჯეს და წულში წამოვდეს,
 ასეთ მდგომარეობაში ვიყავ ოთხ ოქტომბერს, ჩემის დაბადების
 დღეს!

ხმა ოქტომბერს მოუსვენრად ვიყავი. ენატრობდი, ნეტავი სულ
 ოქტომბრის სიმა იყოს და ოთხი სულ არ გათენდეს მთავი...
 მართლაც, ასე რომ მომხდარიყო! ხა, ხა, ხა, რა სასიუღელეა?!
 მერე, რომ გათენდა, რა მომივიდა?! განა ისეც ის მდღე არა ვარ?!
 ასე ესთქვით, ოც-და-სამისა შეესრულდა. და ოც-და-მეოთხეში
 გადავდექა!.. ოც-და-სამი წელიწადი დამიანის ცხოვრებაში ვერ ისეც
 საჭაბუკის ხნას შეადგენს, და ამისა რას შემინოდა?.. მტკამ არა!
 მაინც რაღაც...

7 ოქტომბერს

გული აღარაფერზედ მიმიწევს. ჩემი თავის კვლარა გამოვიარა.
 რას მოკელო ხელი, რა გაკეთო?.. არა ვიცი რა. საყვარელს წა-
 მოკელებს ხელს თუ წიგნს, აღარა მესმის-რა. ხელებს ვაფეთურებ და
 გონება ვი სადღაც დაფრინავს!.. ის რიცხვი ვიდე ჩემი ფიჭრის
 დასვენა არის. რაზედღაც უნდა დავიწყო ფიჭრობა, მაინც ოც-და-სამ
 რიცხვს მივადგები ბოლოს და გულში რაღაც ნაირად მიხსილელტს
 ხოლმე. მთელი საღამო სულ დაედიოდა. ერთ ოთხიადგან მეორე-
 ში, მესამეში გაუდიოდა! ერთ კეთხიადგან მეორემდის მიედიოდა;
 ხან იქ შეედეგებოდა და ხან იქ და ვფიჭრობდა. რასა? — არ ვიცი.
 ეს ვი ვიცი, რომ ვუკვლავან 23° თველებში მესხიარებოდა... ძალი
 რა არის, ძალიც დამკარგა. წუხელის მთელ დამეს შამფურივით
 კტრიალებდა ღოგინში და თველებს ვახელდა, თუ დაეხეზებოდა, ის
 წყეული რიცხვი დიდათ, დიდათ აქერში ისატებოდა. რა აღარ და



აღარ მიმშორდა, შირტკე წაეწევა და სახე ბილიში ღრმად ჩაეფარა, ატეხ ამით მინც მოვიშორო შეტეხა, მაგრამ, არა. ხეშ წინ სანტარაღი დადი წვედადი განდა, რომლის სიარტშიაც კარსკელებით შეწინა წრილი წერტილები დაფურცდა და ამით შუა ცოტახნის შემდეგ ამ წვეულმც ვერუა დაიწყო.

კედლის სათამა ხუთი დაქცრა, რომ მე დაჭინვული და შენ ხეზული ასეე ასე კტრიალებდი..

8 ოკტომბერი

ეს რაღა უბედრობია, რომ შინაურებიც მოხევენებას არ მამ-
ლევან!.. დღეს სადილიც კინაღამ ველი გამოამტკევენეს. რა კენა,
რომ ასე მიმდის?!. ხეში რა ბრალა?!. განა ამით ამაზედ უნდა
დამცინონ?!

როცა დედა-ჩემმა წვენი გადმომიდგა, მე ნადევებით მიგიდას
დავეურდე და გაცეხის ღოდხა დაუწვეე. ასე გაერთობილიყუ ფიქრში,
რომ წვენი სულ დამივიწყდა.

— შეილო, გაგიციკეება!.. — მომესმა დედას-ჩემის ხმა, — ისღა
მეორე კვამი მინდა გაკარიგო.“

— ქაა!.. — გატრმელებით ეუბასუსე და მდოგეს ხელი
წამოეყელე.

როცა მდოგეი მტარს კოკხით შირში ხეაფე, ჩვენებსა ამაზედ
ხარხარი დაიწვეს; მაშინ და მიკხედა, რომ წვენის მტეირად მდოგეს
დაუწვეე ჭამა. შირი სულ გამოთეთება და ასენი კი ხარხარებდნენ.
